ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი ბიძინა გოზალოვი

არჩევის წესი-მაჟორიტარული ქ.ვალის ადმინისტრაციული ერთეული

საანგარიშო პერიოდი 30.10.2025- 01.10.2026 წელი.

თანამდებობა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა და სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 17 სხდომას. მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული 8 სხდომიდან დასწრებული ვარ 7 სხდომას, ხოლო სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ჩატარებული 5 კომისიიდან დასწრებული ვარ 5 სხდომას. საევე „ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველო“-ს ჩატარებული აქვს 3 სხდომა დასწრებული ვარ 3-ვე სხდომას.

საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.

4. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა.
5. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცება.
6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.
7. 2025 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა.
8. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცება.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატურად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება, კერძოდ:

1. ქ. ვალეში მრავალ საცხოვრებლიან ბინების გარე ფასადისა და სადარბაზოების კეთილმოწყობა.
2. ქ. ვალეში შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა.
3. ე.წ მეორე შახტის დასახლებაში მრავალ საცხოვრებლიან ბინების გარე ფასადისა და სადარბაზოების კეთილმოწყობა და ასევე დასახლების გაზიფიცირება.
4. ქ. ვალის მთაზე მისასვლი გზის მოწესრიგება.
5. ქ. ვალეში მართმადიდებლური სასაფლაოს გაფართოება სახელმწიფო კუთვნილებაში არსებულ მომიჯნავე ნაკვეთზე.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან ქ ვალეში მანველიშვილი- გოგებაშვილის ქუჩაზე იგება 2 კმ ბეტონის შიდა გზა, ასევე მოწესრიგდა ნაკვეთებში მისასვლელი

გზა, გაიწმინდა სანიაღვრე არხები, სოფლის პროგრამის ფარგლებში ქ. ვალეში კათოლიკურ სასაფლაოზე დაიკიდა 3 რკინის კარი, გაიწმინდა სასაფლაოს ტერიტორია ბეტონის და ხე-ბუჩქნარის ნარჩენებისაგან და მოიხრეშა სასაფლაოს შიდა გზა. ასევე ჩემი საკუთარი სახსრებით ერთი წლის მანძილზე ქ. ვალის კულტურის სახლს გადავეცი 400 მეტრი სამ ფაზიანი კაბელი და 9 კვ-იანი დენის გამათბობელი „კალარიფერი“, კულტურის სახლის წინ დავდგი ე.წ სტელა წარწერით „მე მიყვარს ვალე“, ასევე მუნიციპალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ახალგაზრდებს (ფეხბურთის გუნდს) წახალისების მიზნით 2-ჯერ გადავეცი ფულადი ჯილდო. ასევე ჩემს მიერ მოხდა 12 ცალი მეორადი სკვერის სკამის რესტავრაცია-აღდგენა, რესტავრირებული სკამებიდან 6 ცალი დაიდგა მოსაცდელზე და 6 ცალი სკამი დაიდგა იუსტიციის სახლთან. ასევე რეაბილიტაცია ჩავუტარე სტალინის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკზე დაზიანებულ მონაკვეთებს. ნარჩენებისაგან გავწმინდე თამარ მეფის ქუჩა, ეკლესიის მიმდებარედ.

ბიძინა გოზალოვი

წარდგენის თარიღი 30.10.2026.